UFC მულტისაგადახდო სისტემები

+995 32 2777 292
info@ufc.ge
www.ufc.ge
ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 154 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

10.08.2026

#1-26-087

შეტყობინება
სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი — *10 აგვისტო 2026 წელი*

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202175546, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №154 (შემდგომში — „საზოგადოება") დირექტორი იწვევს საზოგადოების აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე.

საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდეს 2026 წლის 01 სექტემბერს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №154, სართული 3.

საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ქვეყნდება საზოგადოების მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საზოგადოების ოფიციალურ ვებგვერდზე www.ufc.ge.

საააღრიცხვო დღედ განისაზღვრება 2026 წლის 10 აგვისტო.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით საზოგადოების აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებულნი არიან აქციონერებად:

- სს „თიბისი ბანკი" (ს/ნ: 204854595, მისამართი: საქართველო, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქუჩა N7) - 99.52961%;
- სს „ბანკი ქართუ" (ს/ნ: 204891652, მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N39ა) – 0.47039%.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. თორნიკე გოგიჩაიშვილის (პირადი ნომერი: 01010005109) და მარიამ გოგიას (პირადი ნომერი: 01024033049) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა.
2. ნიკოლოზ ღვაბერიძის (პირადი ნომერი: 01030036309) და გიორგი ვერძაძის (პირადი ნომერი: 61001059940) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად, მათ შორის ერთი დამოუკიდებელ წევრად, არჩევა და ბიძინა მაცაბერიძის (პირადი ნომერი: 01008020864) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ხელახალი ვადით არჩევა.
3. საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.
4. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა.

საერთო კრებისთვის მომზადებული მასალები, მათ შორის, საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების ახალი რედაქციის პროექტები, ყველა აქციონერს გაეგზავნება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

ალექსანდრე ქეთიშვილი

დირექტორი

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია"